ხელშეკრულება №155

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

29 აგვისტო 2016 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით და მეორეს მხრივ შპს „ენერჯი პარტს" წარმოდგენილი მისი დირექტორის აჰმეტ ბაკი აიდოღანის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „თვითმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" მიერ საკუთარი სახსრებით ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული სპეც.ტექნიკისთვის MERCEDES-BENZ (გამოშვების წელი 2002წ. სახ.№SS641VV) და გრეიდერისთვის (ჰბმ-ნობას BG160T-4) (სახ.№SZ-553, გამოშვების წელი -2009) ფილტრების **(CPV 34312000)** შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2. 1 შესყიდვის ობიექტია:

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV- კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1.	ფილტრი ზეთის	34312000	1	70	70
2	ფილტრი საწვავის	34312000	2	120	240
3	ფილტრი ტრანსმისიის	34312000	1	120	120
4	ფილტრი ჰაერის	34312000	1	165	165
	საერთო ღირებულების ჯამი:	**595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.**			

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო საერთო ღირებულება არის – 595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია : ქ. თბილისი, ბალიაშვილის 167.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: -მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მექანიზაციის სამსახურის უფროსი - ალექსანდრე ლუკაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი	**შემსრულებელი**
ა(ა)იპ თვითმმართველი თემი - გორის	შპს „ენერჯი პარტს“
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	ს/კ 445416416
ს/კ 417844622	
ბანკი : სახელმწიფო ხაზინა	ბანკი : „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი : TRESGE22	ბანკის კოდი :BAGAGE22
ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა GE02BG0000000860580700
მისამართი: გორი, სოფელი ბერბუკი.	მისამართი:თბილისი, ბელიაშვილის №167
---	---
დირექტორი	**დირექტორი**
გიორგი ხიდაშელი	**აჰმეტ ბაკი აიდოაღანი**

№239

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ თვითმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ქ.გორი 29 აგვისტო 2016 წ.

/ერთის მხრივ/ ,,მიმღები" ა(ა)იპ თვითმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მექანიზაციის სამსახურის უფროსი - ალექსანდრე ლუკაშვილი და /მეორეს მხრივ/ ,,ჩამბარებელი" შ.პ.ს. „ენერჯი პარტს" წარმოდგენილი მისი დირექტორის აჰმეტ ბაკი აიდოღანის სახით 2016 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული №155 ხელშეკრულების საფუძველზე ვაფორმეთ ამ მიღება ჩაბარების აქტს შემდეგზე: მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV- კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1.	ფილტრი ზეთის	34312000	1	70	70
2	ფილტრი საწვავის	34312000	2	240	240
3	ფილტრი ტრანსმისიის	34312000	1	120	120
4	ფილტრი ჰაერის	34312000	1	165	165
	საერთო ღირებულების ჯამი:	**595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.**			

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

მიმღები

ალექსანდრე ლუკაშვილი

ჩამბარებელი

აჰმეტ ბაკი აიდოღანი